492/4-1/21 2 25012021

492/4-1/21
25-01-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია ანგარიშით გათვალისწინებული თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიიღწა დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას. კერძოდ:

სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეხება პროდუქციის რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება იმას, რომ ქალების მიერ წარმოებული ბიზნესი, უმეტეს შემთხვევაში გაცილებით მცირემასშტაბიანია და მთლიანი შესყიდვების ძალიან მცირე ნაწილი მოდის მათზე.

1. აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად რა ნაბიჯები გადაიდგა ქალის ბიზნესის სერთიფიცირების კონცეფციის შემუშავების, მასერთიფიცირებელი ორგანოსა და სერთიფიკაციის წესის განსაზღვრის მიზნით;

როგორც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, ისე სოფლის განვითარების სააგენტოს შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობისაა გენდერულად დაყოფილი მონაცემების შეგროვება პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე: განაცხადების მიღება, დაფინანსება თუ პროექტების შედეგების მონიტორინგი/შეფასება. მსგავსი სახის ინფორმაცია შესაძლებლობას მისცემს სააგენტოებს დაინახონ რა უკეთ მუშაობს ქალებისთვის და რა - არა. შესაბამისად ისინი შეძლებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროგრამირებას. მოცემული საკითხების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:

2. დაიწყო თუ არა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტის შესახებ, კერძოდ, პროექტის მიხედვით იწარმოება თუ არა სტატისტიკა შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში. ამასთან, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია ზემოაღნიშნული მახასიათებლებით 2020 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ;
3. ხორციელდება თუ არა დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ხდება თუ არა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დაყოფილი მონაცემების წარმოება;
4. ერთმანეთისგან გაიმიჯნა თუ არა პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მათ მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება;

როგორც მოკვლევის შედეგები აჩვენებს, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გამარტივდეს პროგრამაში განაცხადის წარდგენის პროცედურები. ელექტრონულად წარმოებული აპლიკაციის პროცესი ბევრი ქალისთვის დამატებითი დაბრკოლებაა, ამასთანავე, საოჯახო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ქალების მობილობა (განსაკუთრებით სოფლად) შეზღუდულია. აპლიკაციის პროცესთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:

5. განაცხადის ელექტრონულად გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში;

მოკვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ თავად ქალების ჯგუფში არსებობენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები: კერძოდ, დევნილი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:

6. პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია თუ არა ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ინფორმაციის გავრცელება პროგრამების შესახებ და პოტენციური აპლიკანტების მოტივირება, ჩაერთონ მათში. აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად:

7. მოხდა თუ არა რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსის მაქსიმალური გამოყენება ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების არხებად;
8. რა ტიპის ღონისძიებები გატარდა და გაიზარდა თუ არა პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;
9. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს განხილულ იქნა თუ არა ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენა, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);
10. შეიქმნა თუ არა წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდა თუ არა მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;
11. სააგენტომ, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავა თუ არა როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და წახალისების მექანიზმები;

როგორც შედეგების ანალიზის დროს გამოჩნდა, პროგრამის ბენეფიციარ ქალებს განსაკუთრებით უჭირთ ბანკიდან სესხის აღება. ისეთ პირობებში, როდესაც განვითარების ბანკის შექმნა შორეული პერსპექტივაა, მნიშვნელოვანია შესაძლებლობის ფარგლებში შეღავათიანი პირობები შეიქმნას ქალებისათვის სესხის ასაღებად. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად:

12. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდა თუ არა მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება);

მოკვლევის ფარგლებში გამართული მოსმენების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების მხრიდან მრავალგზის გაჟღერებული იდეა ქალებისათვის ცალკე საგრანტო პროექტის შემუშავების შესახებ. ამ უკანასკნელის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე სააგენტომ გამოყოს ცალკე ბიუჯეტი ქალებზე გამიზნული პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამა თავდაპირველად შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პილოტური ინიციატივა, ხოლო მისი შედეგების შეფასების შემდეგ კი გადაწყდეს მისი სამომავლო განვითარების საკითხი. მსგავსი მიდგომა შეიძლება კვოტების სისტემის კარგ ალტერნატივად მივიჩნიოთ, რადგან ქალებს აღარ მოუწევთ კაც აპლიკანტებთან კონკურენცია და, ამასთანავე, მხოლოდ მათთვის შემუშავებული პროექტი მეტი მოტივაციის მიმცემი შეიძლება გახდეს. აღნიშნულ პროგრამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები მონაწილეობის ბარიერების შესამცირებლად: (1) იყოს საგრანტო ხასიათის და სთავაზობდეს თანადაფინანსების შედარებით მაღალ წილს; (2) ბენეფიციარისათვის შესაძლებელი იყოს 5000-დან 10 000. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

13. სააგენტომ შეიმუშავ თუ არა საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

დანართი: „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 66 (სამოცდაექვსი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

KA020183858325721

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 09/710

15 / თებერვალი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2021 წლის 25 იანვრის №492/4-1/21 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) პროექტების, გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოებას, მოგახსენებთ, რომ სააგენტო გენდერულად სეგრეგირებულ სტატისტიკას უკვე აწარმოებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის ფარგლებში. სააგენტოს სხვა პროგრამების მონაცემების აღნიშნული ნიშნით დაყოფა ამ ეტაპზე არ ხდება, ვინაიდან პროგრამების ბენეფიციარები არ არიან ფიზიკური პირები ან ინდივიდუალური მეწარმეები, არამედ ძირითადად წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. თუმცა, 2019 წელის ბოლოს სააგენტოში შეიქმნა ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად მუშაობს შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაზე, რათა მოხდეს სააგენტოს ბენეფიციართა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილში ამჟამად არსებული გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 1: მიკრო გრანტების ფარგლებში დაფინანსებული განაცხადების გენდერული განაწილება

წელი	**ქალ ბენეფიციარზე გაცემული თანხა**	**ქალი ბენეფიციარების რაოდენობა**	**კაც ბენეფიციარზე გაცემული თანხა**	**კაცი ბენეფიციარების რაოდენობა**
2015	1,331,005	282	2,782,541	577
2016	7,540,544	1,654	11,295,385	2,401
2017	6,259,429	1,411	9,447,609	2,087
2018	3,434,866	438	4,831,338	534
სულ	**18,565,844**	**3,785**	**28,356,873**	**5,599**

აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის 2020 წლის ეტაპი ჯერ კიდევ მიმდინარეა. მიმდინარე კონკურსის ფარგლებში ჯამში შემოსულია 26,299 განაცხადი, საიდანაც 4,103 გადავიდა შემდეგ ეტაპზე და გენდერულად მათი განაწილება გამოიყურება შემდეგნაირად:

ცხრილი 2: მიკრო გრანტების 2020 წლის ნაკადზე შემოსული და ტრენინგების ეტაპზე გადასული განაცხადების გენდერული განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**შემოსული განაცხადები**	**ქალი მეწარმე**	**კაცი მეწარმე**	**ტრენინგების ეტაპზე გადასული**	**ქალი მეწარმე**	**კაცი მეწარმე**
აჭარა	2,460	1,183	1,277	362	185	177
გურია	1,161	509	652	125	69	56
თბილისი	5,793	3,170	2,623	1,176	662	514
იმერეთი	3,311	1,371	1,940	584	244	340
კახეთი	3,133	1,549	1,584	353	190	163
მცხეთა-მთიანეთი	1,618	784	834	116	63	53
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,833	960	873	50	32	18
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,362	1,096	1,266	391	174	217
სამცხე ჯავახეთი	1,496	607	889	167	74	93
ქვემო ქართლი	1,362	626	736	466	215	251
შიდა ქართლი	1,770	804	966	313	148	165
სულ	**26,299**	**12,659**	**13,640**	**4,103**	**2,056**	**2,047**

რეკომენდაციის მეორე საკითხი დაკავშირებულია სააგენტოში ანალიზის, შეფასების და მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნასთან. აღნიშნული დეპარტამენტი მუდმივ რეჟიმში ახდენს პროგრამების მონიტორინგს. ასევე, GIZ-თან თანამშრომლობით მიმდინარეობს პროგრამების შეფასების მეთოდოლოგიაზე მუშაობა. პროცესის დასრულება 2021 წლისთვის იგეგმება, რის შედეგადაც, სააგენტოს ექნება საშუალება განახორციელოს პროგრამების გრძელვადიანი შედეგების შეფასება, მათ შორის, გენდერულ ჭრილში.

რეკომენდაციის მესამე საკითხთან მიმართებით გაცნობებთ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის ფარგლებში, მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი ბიზნესიდეის/ბიზნეს გეგმის შეფასებას სააგენტოს მიერ დადგენილი დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, ახორციელებენ კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ დაქირავებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, დამოუკიდებელი ექსპერტები. აღსანიშნავია, რომ განაცხადებს ენიჭებოდა ავტომატური კოდი და აღნიშნულმა ექსპერტებმა შემოწმების დროს არ იცოდნენ მისი ავტორის ვინაობა, რაც გამორიცხავს სუბიექტური და მიკერძოებული შეფასების შესაძლებლობას. დამატებით სააგენტო ახორციელებს იმ კონტრაქტორი ორგანიზაციების და ბენეფიციარების მონიტორინგს, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში. სააგენტოს სხვა პროგრამებთან მიმართებით მეწარმე სუბიექტთა მონიტორინგს ახორციელებენ პროგრამაში ჩართული კომერციული ბანკებიც. ასევე, პროგრამების ადმინისტრირების და მათი მონიტორინგის პროცესი სააგენტოს დეპარტამენტებს შორისაც მკაფიოდა არის განაწილებული. კერძოდ, მეწარმეობის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ხსენებული პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებზე, ხოლო მონიტორინგის შეფასების და ანალიზის დეპარტამენტი, რომელიც დამოუკიდებელია და ექვემდებარება უშუალოდ სააგენტოს დირექტორს, აქტიურად ახორციელებს მეწარმეობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ქმედებების მონიტორინგსა და შეფასებას.

რეკომენდაციის მეოთხე ნაწილთან მიმართებით მოგახსენებთ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გამოირჩევა ბენეფიციართა ყველაზე მაღალი ჩართულობით და განაცხადების/ პროექტების წარდგენა ხდება ელექტონულად. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელება, მონაწილე მეწარმე სუბიექტები სარგებლობენ სააგენტოს კონტრაქტორების კონსულტაციებით, რომლებიც განაწილებულნი არიან შესაბამის რეგიონებში. ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წელს შეიქმნა პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორი“ რომლის თანახმადაც, სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იუსტიციის სახლებსა და 100-მდე საზოგადოებრივ ცენტრში. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კორონავირუსის პანდემიისა, მეწარმეთა მაქსიმალური ჩართულობის მისაღწევად და მათთვის სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად სააგენტო აქტიურად იყენებდა ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა არხებს, როგორებიცაა: ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, ლაივ ჩართვები, პრეზენტაციები და ა.შ.

რეკომენდაციის მე-8 საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2019 წელს განხორციელებული პროგრამის „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში, პირებს შეეძლოთ განაცხადების გაკეთება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ენაზე, ასევე პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულ იქნა აღნიშნულ ორ ენაზე. მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილთან მიმართებით კი განმარტების უფლებამოსილება გააჩნია კონტრაქტორ მხარეს, რომელიც უწევს შესაბამს კონსულტაციას დაინტერესებულ პირებს.

რეკომენდაციის მე-12 და მე-13 საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროებთან და უწყებებთან. „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ პროგრამის განხორციელების ეტაპზე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატთან და სხვა უწყებებთან, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა პროგრამის შესახებ ინფორმაციის აქტიური გავრცელება სხვადასხვა რეგიონში. ასევე, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია დაიგზავნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები მის გავრცელებაში.

სააგენტო, ასევე, თანამშრომლობდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ემსახურება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტრენინგების ჩატარებას ბიზნესის სხვადასხვა მოდულში. ILO-ს მიერ მოხდა სააგენტოს რამდენიმე თანამშრომლის დატრენინგება, რომლებიც პანდემიამდე აქტიურად ატარებდნენ ტრენინგებს ქვეყნის ორ რეგიონში, კერძოდ სამეგრელოსა და გურიაში. ტრენინგები ტარდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რომლებსაც ესწრებოდნენ არსებული და პოტენციური მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები.

სააგენტო ჩართულია პროგრამაში „სახელმწიფო შენი პარტნიორი“, რომლის ფარგლებშიც სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან. სააგენტოს პროგრამებთან დაკავშირებით იუსტიციის სახლის და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებისთვის ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები. შედეგად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია სააგენტოს პროგრამების შესახებ ქვეყნის მასშტაბით არსებულ იუსტიციის სახლსა და საზოგადოებრივ ცენტრში.

აქვე აღსანიშნავია, რომ სააგენტო განიხილავს ორ რეგიონში (კახეთი და იმერეთი) საპილოტე ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრების (ე.წ Growth Hub-ების) გახნის შესაძლებლობას, მომდევნო წლების განმავლობაში, საქართველოს ყველა რეგიონში თითოეული ჰაბის ჩამოყალიბების პერსპექტივით. აღნიშნული ცენტრები ადგილზე უფასოდ მიაწვდიან ბიზნეს საკონსულტაციო სერვისებს დაინტერესებულ პირებს.

რეკომენდაციის მე-18 საკითხთან მიმართებით გაცნობებთ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქალ მეწარმეთა მიერ განაცხადის შემოტანისას გათვალისწინებულია დამატებითი ქულის მინიჭება. შესაბამისად, სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს წაახალისოს ქალი მეწარმეები ბიზნესის წამოსაწყებად. აღნიშნული პრიორიტეტის მინიჭებით სააგენტომ ბოლო წლებში მიაღწია პროგრამაში ქალთა მონაწილეობის ზრდას. კერძოდ, 2015 წელს დაფინანსსებული პროექტებიდან 32% იყო ქალ მეწარმეთა წილი, 2018 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 45%-ს მიაღწია. წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის ეტაპზე აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალანსებული იქნება, ვინაიდან შემდეგ ეტაპზე გადასულ განაცხადთა 50%-ზე მეტს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ.

რეკომენდაციის მე-20 საკითხთან მიმართებით გაცნობებთ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი ითვალისწინებს აპლიკანტთა და ბენეფიციართა რეგულარულ კონსულტირებას, სავალდებულო ტრენინგებს და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ტრენინგსაც იმ მიმართულებით, რომელშიც ისინი გამოხატავენ დაინტერესებას.

აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წელი მეტად შედეგიანი იყო სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის თანამშრომლობისთვის. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჩაატარა გენდერული აუდიტი, შეაფასა სააგენტოში არსებული ვითარება და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე სააგენტოში შეიქმნა „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის“ დოკუმენტი. სააგენტოს პროგრამების შესწავლასა და გენდერული თანასწორობის მიღწევაში, როგორც სააგენტოში, ისე პროგრამების ბენეფიციარების/ მომავალი ბენეფიციარების მიმართულებით, დახმარებას უწევდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომელი ე.წ გენდერული მრჩეველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ სააგენტოში 2020 წელს დაინერგა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურადაა განსაზღვრავრული სააგენტოს მიზნები და ამოცანები, რომელიც თანხვედრაშია „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის“ მოკვლევის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან. სტრატეგიის ფარგლებში, სააგენტოში იგეგმება გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის შექმნაც, რომელიც მოამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს, სადაც დეტალურად იქნება ასახული მიღწეული შედეგები.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე მიქაბაძე